



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარუაშვილი გიორგი მინას ძე



გ. მარუაშვილი

მარუაშვილი გიორგი მინას ძე (23. XII. 1910, ქარელი, - 21. I. 1991, თბილისი), პარაზიტოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1955), პროფესორი (1955), საქართვე. მეცნ. დამს. მოღვაწე (1966), სსრკ მედ. მეცნ. აკად. წ.-კორ. (1960).

1933 დაამთავრა თსსი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ს. ვირსალაძის სახ. სამედ. პარაზიტოლოგიისა და ტროპ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1944-59, 1962-89 - ინ-ტის დირექტორი). 1959-62 იყო საქართვე. ჯანდაცვის მინისტრი, 1974-იდან - ჯანდაცვის სამინისტროს მთ. პარაზიტოლოგი. მ-მა დანერგა საქართველოში პარაზიტოლოგიის კლინიკური მიმართულება; შეისწავლა ადამიანის პარაზიტული დაავადებები, ბრუცელოზი და ნანღავთა

ინფექციები; საქართველოში პირველმა გამოავლინა აგრანულოციტოზი, ვისცერული და კანის ლეიშმანიოზის ბუნებრივი კერობრიობა, ადამიანის ტრიქინელოზი, ე. წ. უსიყვითლო ლეპტოსპიროზი, ტოქსოპლაზმოზი, შემოტანილი შისტომატოზი. დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში მალარიასთან ბრძოლის საქმეში. მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები.
